

შეტყობინება პირადი ინფორმაციის დაცულობის შესახებ

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფში“ (შემდგომში „კაუკასუს კაპიტალი“) ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია. თქვენს მიერ ჩვენთვის გაზიარებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა და დაცულობა. სწორედ ამიტომ ჩვენ შემუშავებული გვაქვს სპეციალური პოლიტიკა და პრაქტიკა, რომლის მიზანია თქვენი პერსონალური ინფორმაციის დაცულობა.

ჩვენთან ანგარიშის გახსნით ან „კაუკასუს კაპიტალის“ დახმარებით ხელმისაწვდომი პროდუქტების და მომსახურების გამოყენებით, თქვენ თანხმობას გვამღებთ პირადი ინფორმაციის შეგროვებასა და მის გამოყენებაზე, წინამდებარე პირადი ინფორმაციის დაცულობის შეტყობინების შესაბამისად. ჩვენ მოგიწოდებთ, რომ ყურადღებით წაიკითხოთ ეს შეტყობინება.

„კაუკასუს კაპიტალი“ არ ახდენს მისი კლიენტების ელექტრონული ფოსტის მისამართებს მიყიდვას მესამე პირებისთვის.

იმისთვის, რომ გაგიწიოთ საბროკერო მომსახურება მარეგულირებელი მოთხოვნათა სრული დაცვით, „კაუკასუს კაპიტალი“ ვალდებულია მიიღოს თქვენგან გარკვეული პერსონალური არასაჯარო ინფორმაცია. ეს მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- „კაუკასუს კაპიტალში“ ანგარიშის გახსნის განაცხადის (აპლიკაციის) შევსებისას მოწოდებულ მონაცემებს (მაგ., თქვენი სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, საინვესტიციო მიზნები და ა.შ.);
- თქვენს მიერ „კაუკასუს კაპიტალის“ სისტემის მემვეობით ტრანზაქციების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია.

ჩვენ ვიცავთ თქვენი ინფორმაციის კონფიდენციალურობას მთელი რიგი საშუალებებით. მაგალითად:

- ჩვენ არ ვყიდით ჩვენი კლიენტების სიებს ან თქვენს მიერ მოწოდებულ პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციას.
- თქვენს მიერ მოწოდებულ პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციაზე წვდომა „კაუკასუს კაპიტალში“ დაშვებულია მხოლოდ იმ თანამშრომელთათვის, აგენტებისა თუ აფილირებული პირებისთვის, რომელთაც ამგვარი ინფორმაციის ცოდნა სჭირდებათ „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ თქვენთვის მოწოდებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.
- ჩვენ ვახორციელებთ მკაცრ პოლიტიკას, რომელიც უკრძალავს თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ წვდომა თქვენს პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციაზე, გამოიყენონ ან გაამჟღავნონ ეს ინფორმაცია არასამსახურებრივი მიზნებისთვის.
- ჩვენ მივმართავთ სიფრთხილის მნიშვნელოვან ზომებს თქვენი პერსონალური არასაჯარო ინფორმაციის დასაცავად. მაგალითად, „კაუკასუს კაპიტალის“ სისტემაში შესვლა შეუძლია მხოლოდ უფლებამოსილ პერსონალს მოქმედი მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. ამას გარდა, ჩვენი ინტერნეტ-სისტემები მოიცავს უსაფრთხოების ისეთ ზომებს, როგორცაა დაშიფრვა (კოდირება) და „ფაიერვოლები“.

ჩვენ არ ვუზიარებთ პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციას ფიზიკურ პირებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან აფილირებული „კაუკასუს კაპიტალთან“, გარდა

კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მაგალითად, ჩვენ ამგვარი ინფორმაცია შეიძლება გავუმჟღავნოთ ან ანგარიშის სახით წარვადგინოთ:

- თქვენს მიერ მოთხოვნილი (ან ავტორიზებული) ოპერაციის ავტორიზაციის, განხორციელების, დადასტურების, ადმინისტრირების ან შესრულების მიზნით;
- რათა ვაწარმოოთ და ადმინისტრირება გავუწიოთ თქვენს ანგარიშს;
- რათა მოგაწოდოთ დადასტურებები, ჩანაწერები და ამონაწერები ანგარიშიდან;
- რათა ვაწარმოოთ სათანადო საარქივო ჩანაწერები;
- როცა ჩავთვლით, რომ ამგვარ გამჟღავნებას ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი კანონი, წესები ან რეგულაციები;
- სამართალდამცავ, მარეგულირებელ ან თვითრეგულირებად ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით;
- ჩვენთან დადებული საბროკერო მომსახურების თუ სხვა ხელშეკრულების მოთხოვნათა აღსრულების მიზნით;
- ჩვენი ვალდებულებების შესრულების მიზნით; ან
- ჩვენი უფლებების და ქონების დაცვის მიზნით.

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დაცვით, ჩვენ შეიძლება „ანონიმიზირებული“ ინფორმაცია ანგარიშების შესახებ ან დაგვიანებული (დროში შეყოვნებული) ინფორმაცია დავალებების შესახებ გავუზიაროთ მესამე პირებს (ან/და გავაზიაროთ ამგვარი ინფორმაცია ჩვენს აფილირებულ პირებს შორის) ანალიზის, კვლევის, საბაზრო მონაცემთა კომპილაციის, პროდუქტის შექმნის, დავალებათა მარშრუტირების ან შესრულების ურთიერთობათა დამყარების, ან ნებისმიერ სხვა კანონიერი მიზნით.

თუ გაქვთ რაიმე დამატებითი კითხვები აქ წარმოდგენილი პოლიტიკის შესახებ, გთხოვთ ელექტრონული ფოსტით ან „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდის მეშვეობით მიმართოთ კლიენტთა მომსახურების განყოფილებას.